პროლეტარებო,
ყველა
ქვეყნისა,
შეერთდით!

585

საქართველოს
საბჭოთა
სოციალისტური
რესპუბლიკის

№ 1

1983

43

უმაღლესი საბჭოს

უწყებები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 1 (468) იანვარი 1983 წელი

შინაარსი

განყოფილება პირველი

1. გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ“ და „საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს შესახებ“ საქართველოს სსრ კანონებში ცვლილებების შეტანის თაობაზე.
2. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისიის შემადგენლობაში ცვლილების შესახებ.

განყოფილება მეორე

3. გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის“ დაჯილდოების შესახებ.
4. გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რესპუბლიკის ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწეთათვის საქართველოს სსრ სახალხო წოდებათა მინიჭების შესახებ.
5. გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს და საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაკებისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული მშენებლის“ სახალხო წოდების მინიჭების შესახებ.

6. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. თ. ჩაკვეტაძისათვის „საქართველოს სსრ უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

7. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ც. ა. მენთეშაშვილისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ვეტერინარი ექიმის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

8. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. თ. ვ. ღაღუასათვის „საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭები- შესახებ.

9. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამიერკავკასიის რკინიგზის საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

10. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

11. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

12. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

13. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. კ. ვასილკოვსკისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

14. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ლ. ლ. აბუაშვილისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ბუღალტრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

15. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამიერკავკასიის რკინიგზის საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

16. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ჭ. გ. თუშიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

17. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ლ. ლ. კიკნაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

18. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ზ. პ. მახარაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

19. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. გ. მუსერიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

20. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. დ. ჩუბინაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

21. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ა. შენგელიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

22. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ნ. წიკლაურის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

23. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ა. ხარატიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

24. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. შ. გვიჩიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

25. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ა. ღოღობერიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

26. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. შ. ვ. გიორგაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

27. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. ნ. ჩაჩანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

28. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო ჰოსპიტლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

29. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჰოსპიტლის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

1 „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ“ და „საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს შესახებ“ საქართველოს სსრ კანონებში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ“ საქართველოს სსრ 1980 წლის 12 ნოემბრის კანონის (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, № 11, დანართი, 1980 წ.,) 45-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „პირველი მოადგილის“ შეიცვალოს სიტყვებით „პირველი მოადგილეების“.

2. „საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს შესახებ“ საქართველოს სსრ 1971 წლის 9 დეკემბრის კანონის — საქართველოს სსრ 1979 წლის 11 დეკემბრის კანონის რედაქციით (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1979 წ., № 13, მუხ. 364) მე-40 მუხლის პირველ ნაწილს სიტყვების „აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „თავმჯდომარის პირველი მოადგილე“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 5 იანვარი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

2 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისიის შემადგენლობაში ცვლილების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისიის წევრად ამხ. რამაზ ანატოლის ძე **გოგლიძე** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.

განთავისუფლდეს ამ კომისიის წევრის მოვალეობისაგან ამხ. დავით ალექსანდრეს ძე **პერტენავა.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 11 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

3 **მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის“ დაჯილდოების შესახებ**

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში აქტიური მონაწილეობისათვის მედლით **„საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის“** დაჯილდოვდნენ:

ბესტაევი იოსებ ზაქარიას ძე — გენერალ-მაიორი.

კუცი გიორგი ალექსანდრეს ძე — პოლკოვნიკი.

კანკია ნოდარ ილიას ძე — უფროსი ლეიტენანტი.

პასეჩნიკი დიმიტრი გრიგოლის ძე — პოლკოვნიკი.

სენტიურინი ბორის ეფიმის ძე — გენერალ-მაიორი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 27 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

4 **რესპუბლიკის ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწეთათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ**

ქართული საბჭოთა ხელოვნების განვითარებაში წვლილისა და ნაყოფიერი საშემსრულებლო მოღვაწეობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ სახალხო არტისტი“

აზმაიფარაშვილს გივი ვასილის ძეს — საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის სიმფონიური ორკესტრის მთავარ დირიჟორს.

დემეტრაშვილს ნანა ალექსის ასულს — მესხეთის (ახალციხის) სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორსა და სამხატვრო ხელმძღვანელს.

ისაკაძეს ელდარ ალექსანდრეს ძეს — თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დოცენტს.

შავიშვილს მიხეილ გერმანეს ძეს — მახარაძის რაიონული კულტურის სახლის ფოლკლორულ ანსამბლ „შვიდკაცას“ სამხატვრო ხელმძღვანელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე"

ბესტავაშვილს ანაიდა ნიკოლოზის ასულს—მთარგმნელს, მ. გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტის უფროს მასწავლებელს.

გოგოლაშვილს რობერტ ალექსანდრეს ძეს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფოლკლორულ ანსამბლ „ფაზისის" სამხატვრო ხელმძღვანელს.

დოლონაძეს ლამარა დავითის ასულს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს.

ისაკაძეს შალვა გიორგის ძეს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკური ბაღის უფროს მეცნიერ თანამშრომელს.

სანიკიძეს თამაზ ევგენის ძეს — საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დირექტორს.

სარჩიმელიძეს გივი გიორგის ძეს — თბილისის თოჯინების ქართული სახელმწიფო თეატრის მთავარ რეჟისორს.

შერვაშიძეს ლეონიდე ალექსის ძეს — გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს.

ჩახავას შოთა სოლომონის ძეს — ფოთის სამუსიკო-ქორეოგრაფიული საზოგადოების ქორეოგრაფიული სტუდიის დირექტორსა და პედაგოგს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი"

აბაშიძეს რუსუდან შოთას ასულს — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ბალეტის სოლისტს.

აბესაძეს ნანული დავითის ასულს — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტს.

ბურჭულაძეს პაატა შალვას ძეს — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტს.

გეწაძეს ელდარ შალვას ძეს — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტს.

გომელაურს თამაზ ალექსანდრეს ძეს — თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დოცენტის მოვალეობის შემსრულებელს.

დონაძეს მერაბ გენადის ძეს — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტს.

კავსაძეს იმერი დავითის ძეს — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტს.

კაკულიას ეთერ ირაკლის ასულს — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტს.

ლომსაძეს ვალერი მირზას ძეს — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათურელს თეიმურაზ ირაკლის ძეს — თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის უფროს მასწავლებელს.

მახათელს ნიკოლოზ ვახტანგის ძეს — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტს.

მდივანს ჯემალ მალხაზის ძეს — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტს.

ნადირაშვილს გენადი არკადის ძეს — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტს.

სეფაშვილს ედუარდ ნიკოლოზის ძეს — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტს.

ხომერიკს ალექსანდრე ავთანდილის ძეს — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტს.

ჯადუგიშვილს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტს.

ჯაფარიძეს ანტონ თეიმურაზის ძეს — სსრ კავშირის დიდი თეატრის სოლისტს.

„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი“

ახვლედიანს ელენე ალექსანდრეს ასულს — საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის განყოფილების გამგეს.

ლავროვს ვალერი ბორისის ძეს — სამხედრო დირიჟორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 6 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ნ საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს და საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაკებისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული მშენებლის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

თელავი-ომალოს რადიოსარელეო ხაზის მშენებლობაში აქტიური მონაწილეობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული მშენებელი“:**

ზედელაშვილს გივი გიორგის ძეს — № 50 საგზაო-საექსპლოატაციო უბნის უფროსს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზინჟილგრანოვს ალბერტ ჰაიკის ძეს — „საქკავშირმშენის“ ტრესტის სარემონტო-სამშენებლო ტრესტის მღებავს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 6 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

6 ამხ. ვ. თ. ჩაკვეტაძისათვის „საქართველოს სსრ უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

უმაღლესი განათლების დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი საქმიანობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს უმაღლესი სასწავლებლების სამმართველოს უფროსს ამხ. ვლადიმერ თეიმურაზის ძე **ჩაკვეტაძეს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკი“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 6 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

7 ამხ. ც. ა. მენთეშაშვილისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ვეტერინარი ექიმის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ბიოლოგიურ მრეწველობაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქართველოს ბიოლოგიური კომბინატის დირექტორს ამხ. ციხელო არსენის ძე **მენთეშაშვილს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული ვეტერინარი ექიმი“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 7 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

8 ამხ. თ. ვ. ღადუასათვის „საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ჩაის მრეწველობაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების უფროს ტიტესტერს ამხ. თამარ ვლადიმერის ასულ ღადუას მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკი“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 7 ივნისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

9 ამერიკავკასიის რკინიგზის საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

რკინიგზის ტრანსპორტზე ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და ზესტაფონი-ხაშურის პირველი საუღელტეხილო უბნის ელექტრიფიკაციის 50 წელთან დაკავშირებით მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“

ზურაბოვს კარლო ვლადიმერის ძეს — ენერგომომარაგების ხაშურის უბნის უფროსის მოადგილეს.

კიკალიშვილს ჟორა კალისტრატეს ძეს — ენერგომომარაგების სამტრედიის უბნის უფროსს.

მაისურაძეს გუგული თევდორეს ძეს — ელექტრიფიკაციისა და ენერგეტიკის მეურნეობის სამსახურის უფროსს.

მაჭარაშვილს მიხეილ პარმენის ძეს — ხაშურის სალოკომოტივო დეპოს უფროსს.

პაპავას ზურაბ დომენტის ძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის პირველ მოადგილეს.

პატარიძეს გიორგი იულონის ძეს — ქუთაისის ენერგომომარაგების უბნის უფროს ელექტრომექანიკოსს.

შენგელიას მიხეილ შალვას ძეს — სამტრედიის სალოკომოტივო დეპოს მთავარ ინჟინერს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩიტალაძეს როზალია გიორგის ასულს — სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და პროპაგანდის საგზაო ცენტრის უფროსს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული ენერგეტიკოსი“

აბაშიძეს თამაზ ვარლამის ძეს — ენერგომომარაგების სოხუმის უბნის უფროსის მოადგილეს.

ბურჯანაძეს გრიგოლ ნოეს ძეს — ენერგომომარაგების თბილისის უბნის მანქანებისა და მექანიზმების ექსპლოატაციის ოსტატს.

გუდავას ჯუმბერ თეოდოტის ძეს — ცხაკაიას დისტანციის საკონტაქტო ქსელის უფროს ელექტრომექანიკოსს.

გურასაშვილს ალექსანდრე დიმიტრის ძეს — თბილისის განყოფილების ელექტრიფიკაციისა და ენერგეტიკის განყოფილების ინჟინერს.

დარსაველიძეს გულნაზი შალვას ასულს — ენერგომომარაგების ქუთაისის უბნის წევის ქვესადგურის უფროსს.

კიკნაძეს ოთარ ვასილის ძეს — სადგური თბილისი-საკვანძოს ენერგომომარაგების უბნის უფროს.

ლურსმანაშვილს არჩილ თეოდორეს ძეს — ენერგომომარაგების ხაშურის უბნის უფროს ელექტრომექანიკოსს.

ფარცხალაძეს ნინო პავლეს ასულს — ენერგომეურნეობის ელექტრიფიკაციის სამსახურის უფროს ინჟინერს.

ჩიტაძეს გიორგი ვლადიმერის ძეს — ენერგომომარაგების ხაშურის უბნის ელექტრომონტიორს.

„საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკი“

ბოლქვაძეს ტიტე ვალერიანის ძეს — სოხუმის სალოკომოტივო დეპოს მემანქანე-ინსტრუქტორს.

მეტრეველს კონსტანტინე ივანეს ძეს — ხაშურის სალოკომოტივო დეპოს ზეინკალს.

ღამბაშიძეს გიორგი ივანეს ძეს — ხაშურის ენერგომომარაგების უბნის ელექტრომონტიორს.

ჩადუნელს შოთა ტარასის ძეს — ხაშურის სალოკომოტივო დეპოს ელექტრომავლის მემანქანეს.

წამალაშვილს ნიკოლოზ იოსების ძეს — თბილისის სალოკომოტივო დეპოს ბრიგადირს.

ჯაკობიას ოვო იოსების ძეს — სამტრედიის ენერგომომარაგების უბნის ელექტრომექანიკოსს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშჭარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 12 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

10 „საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი უმწიკვლო სამსახურისათვის და ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო ჰოსპიტლის დაარსების 175 წლისთავთან დაკავშირებით მიენიჭოთ საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი“**:

ფესკოვს ნიკოლოზ პროკოფის ძეს — ოფთალმოლოგიური განყოფილების უფროსს.

ჩეპელს ივანე სერგის ძეს — ჰოსპიტლის უფროსს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 25 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

11 „საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მასობრივი ინფორმაციის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და „გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ 50 წლისთავთან დაკავშირებით მიენიჭოთ საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი“**:

ბიბილურს თამაზ ალექსანდრეს ძეს — „გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარი რედაქტორის მოადგილეს.

ჯოხაძეს გივი მინას ძეს — „გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ პასუხისმგებელ მდივანს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 28 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

12 „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მასობრივი ინფორმაციის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პირველი ნომრის გამოსვლის 60 წლისთავთან დაკავშირებით მიენიჭოთ საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი“:**

აკოფოვს აშოტ მკრტიჩის ძეს — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული მოწყობილობის გამმართველს.

არსენიშვილს ზურაბ ლონგინოზის ძეს — გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ საკუთარ კორესპონდენტს.

არუთინოვს კარლენ სოკრატის ძეს — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბის დამკაბადონებელს.

ბენეიკაიას ინა ალექსანდრეს ასულს — გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის წერილების განყოფილების სექტორის გამგეს.

გოგოხიას მიტროფანე რომანოზის ძეს — გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ კორესპონდენტს.

თუთბერიძეს ვიოლეტა სოკრატეს ასულს—გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის კორექტორს.

კალანდაძეს მარიკა გიორგის ასულს — გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის საზოგადოებრივი მისაღების გამგეს.

კიკნაძეს ვახტანგ კონსტანტინეს ძეს — გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ საკუთარ კორესპონდენტს.

მახარაშვილს ნიკოლოზ გიორგის ძეს — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული მოწყობილობის გამმართველს.

მითაგვარიას ამირან ნოეს ძეს — გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ საკუთარ კორესპონდენტს.

საფარიანს ლუდმილა გრიგოლის ასულს — გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის უფროს კორექტორს.

სორინას ევგენია აბრამის ასულს — გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის კორექტორს.

ფერაძეს რობერტ ვარლამის ძეს — გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ საკუთარ კორესპონდენტს.

შაგინიანს გარნიკ სარქისის ძეს — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბის ამწყობს.

№ 1
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცვილევას სვეტლანა ანატოლის ასულს — გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის კორექტორს.

ხოსროშვილს აკაკი გიორგის ძეს — გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის წერილებისა და მასობრივი მუშაობის განყოფილების ყოფილ გამგეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 28 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

13 ამხ. ი. კ. ვასილკოვსკისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მასობრივი ინფორმაციის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პირველი ნომრის გამოსვლის 60 წლისთავთან დაკავშირებით ამხ. იგორ კონსტანტინეს ძე ვასილკოვსკის მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 28 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

14 ამხ. ლ. ლ. აბუაშვილისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ბუღალტრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

პოლიგრაფიულ მრეწველობაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის, და გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პირველი ნომრის გამოსვლის 60 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის უფროს ბუღალტერს ამხ. ლამარა ლევანის ასულ **აბუაშვილს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული ბუღალტერი“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 28 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

15 ამიერკავკასიის რკინიგზის საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რკინიგზის ტრანსპორტზე ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და ზესტაფონი-ხაშურის პირველი ელექტრიფიცირებული საუღელტეხილო ხაზის 50 წლისთავთან დაკავშირებით **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ:

ბატკულაშვილი ვლადიმერ ვლადიმერის ძე — თბილისის სალოკომოტივო დეპოს ზეინკალი.

ბოცვაძე ნოდარ დავითის ძე — სამტრედიის სალოკომოტივო დეპოს ელექტრომავლის მემანქანე.

გედენიძე ნოდარ ვარლამის ძე — ბათუმის სალოკომოტივო დეპოს მემანქანე-ინსტრუქტორი.

გორჯოლაძე ავთანდილ მიხეილის ძე — თბილისი-დამხარისხებელი დეპოს ლოკომოტივის მემანქანე.

ღამბაშიძე პავლე იპოლიტეს ძე — ენერგომომარაგების ხაშურის უბნის ელექტრომონტიორი.

ყანაშვილი ედუარდ გიორგის ძე — თბილისი-საკვანძოს ენერგომომარაგების უბნის ელექტრომონტიორი.

შარიფაშვილი ვალერიან გიორგის ძე — თბილისის ენერგომომარაგების უბნის ელექტროზეინკალი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. **გილაშვილი**.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. **ლაშქარაშვილი**.

თბილისი, 1983 წლის 7 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

16 ამხ. ჭ. გ. თუშიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის და ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროების სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის, პარტიულ-საზოგადოებრივ საქმიანობაში მიღწეული წარმატებებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს რესპუბლიკური ავარარულ-სამრეწველო-სავაჭრო გაერთიანების საზკვების და საბიუჯეტო ორგანიზაციების კარტოფი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლითა და ხილბოსტნეულით მომარაგების სამმართველოს უფროსი ამხ. ჭაბუკი გრიგოლის ძე **თუშიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით .**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 7 იანვარი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

17 ამხ. ლ. ლ. კიკნაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ჰიდროსამელიორაციო მშენებლობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს მთავარსაქწყალმშენის უფროსის მოადგილე ამხ. ლევან ლევანის ძე **კიკნაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 7 იანვარი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

18 ამხ. ზ. პ. მახარაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა, კომკავშირულ ორგანოებში, სრულიად საკავშირო სააქციო საზოგადოება „ინტურისტის“ სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის გენერალური დირექტორი ამხ. ზურაბ პავლეს ძე **მახარაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 7 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

19 ამხ. ა. გ. მუსერიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ჰიდროსამელიორაციო მშენებლობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს მთავარსაქწყალმშენის უფროსი ამხ. ანზორ გერონტის ძე **მუსერიძე** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 7 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

20 ამხ. გ. დ. რუხაიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის და ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროების სისტემებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის, საზოგადოებრივ საქმიანობაში მიღწეული წარმატებებისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით რესპუბლიკური აგრარულ-სამრეწველო-სავაჭრო გაერთიანების მეცხოველეობის განყოფილების უფროსი ამხ. გრიგოლ დომენტის ძე **რუხაია** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 7 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

21 ამხ. გ. ა. შენგელიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ოთხმოცდაათ წელთან დაკავშირებით პერსონალური პენსიონერი ამხ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუგუ ალექსის ასული შენგელია დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის** **საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 7 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

22 ამხ. ა. ნ. წიკლაურის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

კომკავშირულ, პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის საბჭოთა ორგანოების გახყოფილების გამგე ამხ. ანზორ ნიკოლოზის ძე **წიკლაური** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 7 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

23 ამხ. ი. ა. ხარატიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშენებლობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცი წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრი ამხ. იოსებ ალექსის ძე **ხარატიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 7 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

24 ამხ. მ. შ. გვიჩიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და კონტროლის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს მეცხოველეობის პროდუქტებისა და ნედლეულის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის უფროსი ამხ. მათე შავხანის ძე **გვიჩიანი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 20 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

25 ამხ. გ. ა. ღოღობერიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის მრეწველობასა და საგეგმო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის დაგეგმვისა და მეორეული ნედლეულის გამოყენების განყოფილების უფროსი ამხ. გურამ ალექსანდრეს ძე **ღოღობერიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი 1983 წლის 20 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

26 ამხ. შ. ვ. გიორგაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ჰიდროსამელიორაციო მშენებლობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცდათხუთმეტ წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს მთავარსაქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყალმშენის ტრესტ „წყალმშენის“ მმართველი ამხ. შალვა ვლადიმერის ძე გიორგაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 21 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

27 ამხ. მ. ნ. ჩაჩანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის კაპიტალური მშენებლობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის მშენებლობის განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. მიხეილ ნიკოლოზის ძე ჩაჩანიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 21 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

28 ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო ჰოსპიტლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მუშაობაში მიღწეული წარმატებებისათვის და დაარსების 175 წლისთავთან დაკავშირებით ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო ჰოსპიტალი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1983 წლის 25 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

29 ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო ჰოსპიტლის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი უმწიკვლო სამსახურისათვის და ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო ჰოსპიტლის დაარსების 175 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:

გუსელნიკოვი ანატოლი ალექსანდრეს ძე — ექიმი.

ხარიჩევა ლუიზა პეტრეს ასული — ექიმი.

ხუდანიჩი ივანე ივანეს ძე — ნეიროქირურგიული განყოფილების უფროსი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. **გილაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. **ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1983 წლის 25 იანვარი.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

1983 წლის 27 იანვარს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა. სხდომამ მოისმინა საკითხი სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმისა და სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის გადაწყვეტილებათა შესრულების ძირითად ღონისძიებათა შესახებ. პრეზიდიუმმა დაადგინა:

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებები, პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლაში ჩამოყალიბებული დებულებები და მითითებები მიღებულ იქნეს სახელმძღვანელოდ და განუხრელად შესასრულებლად.

რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს დაევალათ:

გაშალონ ფართო ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა 1983 წლის სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ამოცანების და აღებული სოციალისტური ვალდებულებების შესასრულებლად მშრომელთა მობილიზებისათვის; შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებათა კომპლექსი, რომლებიც უზრუნველყოფენ რესპუბლიკის XI ხუთწლედის აქტუალური პრობლემების გადაწყვეტას, საზოგადოებრივი წარმოების ზრდისა და სრულყოფისათვის გამოუყენებელი რეზერვებისა და რესურსების გამოძებნას და გამოყენებას; გააძლიერონ საბჭოების ზრუნვა მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებისათვის, მათი ყველა სახის მომსახურების გაუმჯობესებისათვის;

განსაკუთრებული ყურადღება და მომთხოვნელობა გამოიჩინონ კონსტიტუციური უფლებების განუხრელად განხორციელების, მიღებულ გადაწყვეტი-

№ 1 ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებათა, მოქალაქეთა კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების, წერილებისა და საჩივრების, ამომრჩეველთა განაწესების შესრულებისადმი, აგრეთვე სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისადმი;

განუხრელად განახორციელონ პარტიის მოთხოვნები სახელმწიფო, შრომის დისციპლინისა და მართლწესრიგის განმტკიცების შესახებ: საბჭოების ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუშაობაში სანიმუშო წესრიგის დამყარების საქმეში ფართოდ ჩაბან მიკრორაიონთა საბჭოები, დეპუტატები და აქტივი, მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოები;

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის მოთხოვნათა შესაბამისად შრომის დისციპლინის შემდგომ განსამტკიცებლად სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანების განხილვას მიუძღვნან სპეციალური სესიები;

1983 წლის პირველ კვარტალში ჩაატარონ აგრეთვე დიმიტროვის სახელობის ქარხნის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლექტივების და გორის რაიონის ტყვიავის სოფლის ყრილობის მოწოდების — სანიმუშო დისციპლინა, მაღალი ორგანიზებულობა, აქტიურობა და პასუხისმგებლობა თითოეულისაგან, ყველგან და ყველაფერში — განხილვისადმი მიძღვნილი სოფლის ყრილობები და მოსახლეობის საერთო კრებები.

* *
*

მოისმინა რა ინფორმაცია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ამომრჩევლებთან შეხვედრების შედეგების შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ 1982 წლის დეკემბერში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ამომრჩევლებთან შეხვედრების „ერთიანი კვირა“ ორგანიზებულად ჩატარდა, რასაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების მიერ ადგილებზე წინასწარ გაწეულმა მოსამზადებელმა მუშაობამ.

შეხვედრებზე თავიანთ გამოსვლებში რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს იმ ამოცანათა განხორციელების საკითხებს, რომლებიც საბჭოებს, ყველა მშრომელს დაუსახა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმმა, სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიამ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XI პლენუმმა და საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიამ. ისინი აცნობდნენ ამომრჩევლებს საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1983 წლის სახელმწიფო გეგმის ძირითად მიმართულებებს, 1982 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობას, რესპუბლიკის 1983 წლის სახელმწიფო ბიუჯეტს, ინგარში ჩაბარეს სადეპუტატო მოვალეობათა შესრულებისა და ამომრჩეველთა განაწესების რეალიზაციის მიმდინარეობის თაობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა მიერ ამომრჩევლებთან შეხვედრების შედეგების შესახებ წარმოდგენილ ინფორმაციებში აღნიშნულია, რომ მშრომელები მთლიანად და სავსებით იწონებენ და ერთსულოვნად მხარს უჭერენ სკკპ და საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის სიტყვაში ჩამოყალიბებულ დებულებებსა და დასკვნებს.

ამომრჩევლს შეხვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 317 დეპუტატი (მათი საერთო რიცხვის 72.4 პროცენტი); შეხვედრებს ესწრებოდა 75 ათასი კაცი, სიტყვით გამოვიდა 1.750-ზე მეტი, გამოთქმულ იქნა 1.400-მდე წინადადება და შენიშვნა რეგიონთა ეკონომიკური და სოციალური განვითარების, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცების, შრომითი რესურსების გამოყენების გაუმჯობესებისა და სხვა საკითხებზე.

ამასთან ერთად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ამომრჩევლებთან შეხვედრების ჩატარების ორგანიზაციაში შეინიშნებოდა ზოგიერთი ნაკლოვანება, ადგილობრივი საბჭოების ცალკეულმა აღმასკომებმა არ შეატყობინეს მოსახლეობას შეხვედრის დრო და ადგილი, ფორმალურად მოეკიდნენ ამომრჩეველთა მიერ ადგილობრივი საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების მისამართით გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების განზოგადებისა და რეალიზაციის საქმეს.

*

* *

მოისმინა რა წერილებისა და მოქალაქეთა მიღების განყოფილების ინფორმაცია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში 1982 წელს შემოსული მშრომელთა წერილების, განცხადებების, საჩივრების განხილვისა და მოქალაქეთა მიღების მდგომარეობის შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა წერილებისა და მოქალაქეთა მიღების განყოფილების მოხსენებითი ბარათი დაეგზავნოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასკომს, რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, საქართველოს სსრ სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებს, უწყებებს და დაავალა მათ: თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში განუხრელად იხელმძღვანელონ ამ საკითხებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებით, მიიღონ საჭირო ზომები მშრომელთა წერილებსა და განცხადებებზე მუშაობისა და მათი მიღების ორგანიზაციის გაუმჯობესების შესახებ პარტიის მოთხოვნათა განუხრელად შესასრულებლად; განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ აპარატებში საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებას, აამაღლონ ხელმძღვანელ მუშაკთა პერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სონალური პასუხისმგებლობა მშრომელთა წერილების, განცხადებებსა და საჩივრების განხილვის საქმეში, მკაცრად მოსთხოვონ პასუხი თანამდებობის პირთ, რომლებიც არღვევენ მშრომელთა წერილებზე მუშაობის დადგენილ წესს, იჩენენ არაობიექტურობას, ფორმალურად იხილავენ მათ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის განყოფილებებს დაევალათ უფრო ღრმად ჩაწვდნენ მშრომელთა განცხადება-საჩივრებზე მუშაობის მდგომარეობას, მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციას აპარატში; მეტი ქმედითი დახმარება გაუწიონ სახალხო დეპუტატთა აღგილობრივი საბჭოების აღმასკომებს, სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებს, უწყებებსა და ორგანიზაციებს მშრომელთა წერილებზე მუშაობის გაუმჯობესებასა და მოქალაქეთა მიღების უკეთ ორგანიზაციაში, ზემოაღნიშნულ საკითხებზე სადირექტივო ორგანოების მიერ აღრე მიღებული გადაწყვეტილებების უცილობლივ შესრულებაში; ამ საქმეში ფართოდ ჩაბან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიები, ყველა რგოლის დეპუტატები.

მშრომელთა წერილებზე მუშაობის და მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის დადგინდა შეიქმნას სამუშაო ჯგუფი. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანს ამხ. თ. ვ. ლაშქარაშვილს დაევალა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შემდეგ სხდომას მოახსენოს სამუშაო ჯგუფის შემადგენლობისა და წერილებზე მუშაობისა და მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის დამატებით ღონისძიებათა სპეციალური გეგმის შესახებ.

*

* *

მოისმინა რა საქართველოს სსრ პროკურორის პირველი მოადგილის ამხ. ვ. ა. რაზმაძის ინფორმაცია რესპუბლიკის ზოგიერთ საბჭოთა და სხვა სახელმწიფო ორგანოში მუქთახორობის წინააღმდეგ ბრძოლის თაობაზე კანონების მოთხოვნათა უხეში დარღვევების შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ უკანასკნელ წლებში პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობით რესპუბლიკაში გააქტიურდა ბრძოლა მუქთახორობის წინააღმდეგ.

რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში შექმნილია მუქთახორობასთან ბრძოლის მუდმივმოქმედი კომისიები, შემუშავებულია სისტემა იმ პირთა გამოვლენის, შრომითი მოწყობის, სამუშაოზე დამაგრებისა და ხელახალი აღზრდისათვის, რომლებიც პარაზიტულ ცხოვრებას ეწევიან. შეინიშნება საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომისაგან თავის ამრიდებელ მოქალაქეთა რიცხვის შემცირების ტენდენცია.

მიუხედავად ამისა რესპუბლიკის რიგ ქალაქებსა და რაიონებში მდგომარეობა კვლავ შემაშფოთებელია. პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა შესაბამისად არ ხორციელდება ქმედითი ღონისძიებანი პარაზიტული ელემენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტების წინააღმდეგ საბრძოლველად, არ ამოქმედებულა მუქთახორობის წინააღმდეგ ბრძოლის სისტემის ყველა რგოლი, პარაზიტობის გამოვლენისადმი არ იქმნება შეურიგებლობისა და საერთო გაკიცხვის ატმოსფერო; უფრო მეტი, ზოგიერთი საბჭოთა, სამართალდამცველი და სხვა სახელმწიფო ორგანოს ამ მიმართულებით მუშაობაში შეინიშნება კანონების უხეში დარღვევების ფაქტები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სათანადო დავალებანი მისცა აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს, სახალხო დეპუტატთა სამხრეთ ოსეთის საოლქო, რესპუბლიკის რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფისა და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებს, საქართველოს სსრ პროკურატურას, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტს და მუქთახორობის წინააღმდეგ ბრძოლის რესპუბლიკურ კომისიას.

*

* *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომამ მოისმინა აგრეთვე საკითხები: 1982 წლის 12-18 ივლისს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებთან შეხვედრებზე ამომრჩეველთა მიერ გამოთქმული წინადადებების განხილვის შედეგების შესახებ, მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის“ დაჯილდოების თაობაზე, მრავალშვილიანი დედების „გმირი დედის“ სპატიო წოდების მისანიჭებლად წარდგენის შესახებ და სხვ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების, დედისა და ბავშვის დაცვის საკითხთა კომისიამ თავის სხდომაზე განიხილა საკითხი არასრული სამუშაო დღის, კვირისა და შინამუშაობის რეჟიმით საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სისტემის საწარმოებში ქალთა შრომის გამოყენების მდგომარეობის შესახებ.

საკითხის შესწავლით და შესაბამისი სამინისტროებიდან და უწყებებიდან წარმოდგენილი მასალების ანალიზით გამოირკვა, რომ ამ მიმართულებით შედარებით ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან თბილისის ტრიკოტაჟის თეთრეულის საწარმოო გაერთიანება, ქუთაისის ს. კიროვის სახელობის და ბათუმის ს. ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო საწარმოო გაერთიანებები, თბილისის პირველი მაისის სახელობის ფაბრიკა, ფაბრიკა „ნადიკვარი“, თბილისის № 1 ტრიკოტაჟის ფაბრიკა, სოხუმისა და თელავის სამკერვალო ფაბრიკები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამასთან ერთად არასრული სამუშაო დღის, არასრული სამუშაო კვირის რეჟიმით და შინამუშაობის წესით ქალთა დასაქმების ფორმების დანერგვა-გავრცელების საქმეში საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სისტემის საწარმოებსა და გაერთიანებებში კვლავ სერიოზული ნაკლოვანებებია.

არის შემთხვევები, როდესაც შინამუშაობის მსურველებს უარს ეუბნებიან შრომაში მონაწილეობაზე, იმ მოტივით, რომ ასეთი სამუშაო საწარმოებს არ გააჩნიათ. სამინისტროს სისტემის გაერთიანებებსა და საწარმოებში არასრული სამუშაო რეჟიმით და შინამუშაობის წესით დასაქმებულია მხოლოდ 634 ქალი, რაც მომუშავე ქალთა მხოლოდ 1,1 პროცენტს შეადგენს; ეს მაჩვენებელი საშუალო საკავშირო ზე მნიშვნელოვნად დაბალია.

ბევრ საწარმოში, სადაც შინამუშაობაა გათვალისწინებული, ხშირად არ არის გამოყოფილი ნედლეულის და მასალების ფონდები, არასაკმარისია შესაბამისი მოწყობილობა (სამკერვალო, საქსოვი მანქანები), მოწესრიგებული არ არის შინამომუშავეთათვის ნედლეულის, მასალების მისაწოდებლად ტრანსპორტით უზრუნველყოფის საკითხი.

ასეთი მდგომარეობა გამოწვეულია იმით, რომ თვით სამინისტრო და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები სათანადო ყურადღებით არ ეკიდებიან ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეს, არ ავრცელებენ მუშაობის დადებით გამოცდილებას.

* *
*

მოისმინა რა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ჯ. კუხალაშვილის მოხსენება, ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების კომისია აღნიშნავს, რომ უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვანი ღონისძიებები ტარდება რესპუბლიკაში ჰაერისა და წყლის აუზის გასუფთავების, გამწმენდ ნაგებობათა მშენებლობის და ქალაქებში ხმაურის შემცირებისათვის XI ხუთწლედში დასახული პროგრამის შესასრულებლად.

რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებში ბუნების დაცვის ღონისძიებებზე ყოველწლიურად მნიშვნელოვანი კაპიტალური დაბანდებებია გათვალისწინებული; დაიხვეწა კანონმდებლობა, შეიქმნა ეროვნული კომიტეტი „ადამიანი და ბიოსფერო", რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შეიქმნა საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი კომისია, სამინისტროებში, უწყებებსა და მსხვილ საწარმოებში ბუნების დაცვის განყოფილებები.

სერიოზული ყურადღება ექცევა ჰაერისა და წყლის აუზის გასუფთავებას, ფართოვდება გამწმენდ ნაგებობათა მშენებლობის ქსელი, სამრეწველო საწარმოებში სულ უფრო ფართოდ ინერგება საბრუნავი და განმეორებითი წყალმომარაგების სისტემები, გამწმენდი და მტვერდამჭერი მოწყობილობები და ა. შ.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო მთელ რიგ ღონისძიებებს ახორციელებს ატმოსფეროში ავტომანქანების გამონაბოლქვების შესამცირებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამჟამად მიმდინარეობს ქალაქების სოხუმის, ქობულეთის, მახარაძის, ფოთის, ლანჩხუთის, გუდაუთა—ახალი ათონის და სხვ. გამწმენდ ნაგებობათა მშენებლობა.

მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა რესპუბლიკაში ჰაერისა და წყლის აუზის გასუფთავების, გამწმენდ ნაგებობათა მშენებლობის, ქალაქებში ხმაურის შემცირებისათვის XI ხუთწლედში დასახული პროგრამის განხორციელების საქმეში ჯერ კიდევ არსებითი ნაკლოვანებებია.

სისტემატურად არ ხდება ამ დანიშნულებით გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებათა ათვისება. საკანალიზაციო მშენებლობათა 9 თვის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 88 პროცენტით, ამასთან სათანადო ყურადღება არ ექცევა ობიექტების მშენებლობის ხარისხს, გამწმენდი და საკანალიზაციო ნაგებობათა მშენებელი ორგანიზაციის — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ტრესტ „სპეცმშენის“ საწარმო-ტექნიკური აღჭურვა და სიმძლავრე არ შეესაბამება სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მზარდ მოცულობას.

სერიოზული ნაკლოვანებებია რესპუბლიკის მსხვილ სამრეწველო ცენტრებში ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. სამრეწველო საწარმოებიდან მავნე ნივთიერებათა გამონაბოლქვის საერთო რაოდენობა წელიწადში 361 ათას ტონას შეადგენს, რაც რესპუბლიკაში მავნე ნივთიერებათა მთლიანი გამონაბოლქვის 42 პროცენტია.

გამწმენდ ნაგებობათა უქონლობის ან არსებულთა გაუმართაობის გამო მრეწველობის, ტრანსპორტის, კომუნალური, და სხვა ობიექტებიდან გაუწმენდავი წყალი ჩადის მდინარეებსა და წყალსაცავებში. საჭირო ყურადღება არ ექცევა ნახმარი წყლის განმეორებით გამოყენების სისტემის დანერგვას.

ჯერ კიდევ სუსტია ბრძოლა ქალაქებში ხმაურის წინააღმდეგ, რომლის ძირითად წყაროს წარმოადგენენ კომუნალური, საყოფაცხოვრებო, სამრეწველო საწარმოები, გაუმართავი სატრანსპორტო საშუალებანი.

ზემოაღნიშნული ნაკლოვანებები გამოწვეულია იმით, რომ ბუნების დაცვის ორგანოები, მათ შორის რესპუბლიკის სამინისტროებში, სახელმწიფო კომიტეტებში, უწყებებსა და საწარმოებში შექმნილი სამსახურები, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები, საბჭოების ბუნების დაცვის მუდმივი კომისიები სათანადო მზრუნველობას არ იჩენენ ამ მეტად მნიშვნელოვანი საკითხისადმი.

* * *

თავიანთ სხდომებზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის კომისიამ მოისმინა კომისიის წევრის დეპუტატ ო. კიკნაძის მოხსენება საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს სისტემაში საწარმოო-ეკონომიკური პოტენციალის გამოყენების

№ ეროვნული ბიბლიოთეკა

შესახებ, ხოლო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კომისიამ განიხილა საკითხი მოსახლეობაში ფიზიკური კულტურის განვითარებისა და მშთ ნორმატივების ჩაბარების ორგანიზაციის საქმეში ახალციხისა და თერჯოლის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების მუშაობის თაობაზე.

კომისიებმა განხილულ საკითხებზე მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილებანი.